მეშვიდე ადგილზე

მოსკოვი. 14 მოემბერი. (ტელეგრაფით ჩვენი კორ.).

აქ შედგა მორიგი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში. თბილისის "დინამო" გათამაშების ბოლო შეხვედრაში მოსკოვის "ლოკომოტივთან" გამოვიდა შემდეგი შემადგენლობით: ს. კოტრიკაძე, ელოშვილი, ძიაპშპა, ხოჭოლავა, ა. კოტრიკაძე, რამიშვილი, გაგნიძე, ბარქაია, ჭკუასელი, იამანიძე, მესხი.

მატჩს თბილისელთათვის არავითარი მნიშვნელობა არა ჰქონდა საბოლოო ადგილის განსაზღვრისათვის გათმაშების ცხრილში, ლოკომოტიველებს კი 2 ქულა უაღრესად ჭირდებოდათ მეორე ადგილის დაკავებისათვის.

მატჩი ჩატარდა მეტად ძნელ პირობებში. "დინამოს" სტადიონი, სადაც იგი მიმდინარეობდა, თოვლით იყო დაფარული. მიუხედავად ამისა, თამაში დაძაბული და საინტერესო ბრძოლით აღინიშნა. რკინიგზელები თამაშობდნენ მოკლე, ხშირი გადაცემებით, რაც საგრძნობლად უადვილებდა დინამოელთა დაცვას მათ წინააღმდეგ მოქმედებას. თბილისელები პირიქით, გრძელი გადაცემებით ფლანგებზე უფრო სწრაფად და სახიფათოდ გადიოდნენ მოსკოველთა კართან. მესხი ხშირად გამოდიოდა გამარჯვებული როგოვთან ბრძოლაში და ზუსტად აწვდიდა ბურთებს საჯარიმო მოედანში, სადაც არ იქნა გამოყენებული რამდენიმე კარგი მომენტი. ორჯერ ააცილა დარტყმა კარს ბარქაიამ, ბურთის გატანის რეალური შესაძლებლობა დაკარგა ჭკუასელმა, ხოლო გაგნიძის მეტად ძნელი დარტყმა აიღო მეკარე მოსლაჩენკომ.

90–წუთიან მწვავე ბრძოლას შედეგი არ მოჰყოლია – 0:0.

ამრიგად, 1957 წლის პირველობის გათამაშებაში თბილისის "დინამომ" დაიკავა მე–7 ადგილი.

ვ. პავლოვი.
"ლელო" 17 ნოემბერი, 1957 წ.